დროება

რედაქცია

გალაკტიონის პრაბსტოვის ქუჩაზე. იგ. მუხრანსკის ხახლებში ალუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაში“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭელიძისთან ხალიზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროებაზ“ და „ივერიაზ“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროებაზ“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ივერიაზ“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ზამთარ-ზაფხული

ზაფხულ-ზამთარ

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წერაზედ ასი ასოა. ერთ-ერთ ასოზე ნახევარ კაპ. ერთ-ერთ ასოზე. ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელშეკრულება მოითხოვს, რედაქციაც გასწორებულ-და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაზ“-„ივერიის“ აგენტთან.

კალკულაციონერი „დროებისა“ დიდ ნაკ.

თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 21 ოკტომბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ქარაფშუტა

კომედ. 3 მოქ. ფრანც. ძ. მესხისაგან.

II

პირველად

დატრიალდა ჯარა

ვოდ. 1 მოქ. რუს. ძ. ჟიფიანისაგან.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 სასთზე.

ტელეგრამები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის ხაგენტოსი“)

ვენა, 15 ივნისს. რვის ნახევარს საათს იტალიის მეფე და დედოფალი მობრძანდნენ ვენაში გერმანიის იმპერატორი, მემკვიდრე და ერცგერცოგი გულითადის სალამით მიეგებნენ ძეთ დებარკადერზე.

პეტერბურგი, 16 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ სწერია, რომ ტყუვილია ობრუჩევის ციმბირში დანიშვნის ხმა. „ახალი დროება“ გვაცნობებს: თხუთნეტს ამ თვისს ექსპერტებმა გადასწყვიტეს, რომ ერთ ნაირად საჭიროა გადასახლება რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში აუცილებლად საჭიროა, რომ უფრო გაჭიერებულთათვის წინ-და-წინვე დაინიშნას ადგილები. გადასახლებულების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო მიწები საჭიროა სამზადისად ადიარეს.

‹დროების› ფელეტონი, 18 ოკტომ.

ელგუჯა *)

(მოთხრობა)

ძარგა ხანმა გაიარა იმათ გაყრის შემდეგ, მაგრამ მათია ისევ ისე იდგა და არ იცოდა—როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს მოიაზრა, რომ იმ ღამეს იქ ტყეში გაატარებდა, მეორე დღეს მიზეზს რასმე მოიგონებდა, გავიდოდა დუქნებში და ამობაში სალამოც მოაღწევდა.

— წავალ, ადგილს ამოვირჩევ და მივწვები, ოხერით წამოსთქვა მათიამ და შევიდა ტყეში.

დაჩვეული ღამე ვარეთ გატარებას, ის მიწვა ერთს მინდორზედ და დახუჭა თვალები. დაძინებას აპირებდა, მაგრამ ძილი თითქმის განგებ დაჰკარგოდა და ყურებში თითქოს ვიღაც ჩასჩიჩინებდა: შენ გინდა დაიძინო, მაგრამ მე არ დაგაძინებ, შენ გინდა ის ქალი გადაივიწყო, მაგრამ მე არ გადაგავიწყებ.“

ამოიოხრა და გადაბრუნდა მეორე გვერდზედ. მთვარე, რომელიც იმ ღამეს თითქოს განგებ ისე გაკაშკაშებულიყო, ჰფენდა დედა-მიწას თავის სხივით და კაცის გულს აგონებდა თავის მღელვარებას, მწუხარებას. მათიას გადაბრუნებაზედ მთვარის შუქი, პირ-და-პირ პირისახეზედ მიადგა და ძალათი თვალები გაახელინა. ის ამობრუნდა გულ-აღმა და დაუწყო მთვარეს გატაცებით ყურება, რომელიც თანაგრძნობით უალერსებდა იმის გახურებულს გრძნობას და ეუბნებოდა: „შენ უბედური ხარ და მე, მარტო მე თანაგიგრძნობ შენ. მე მომენდე, მე არასოდეს არ გაგცემ, მარტო მე შემიძლიან შენი საიდუმლოს შენახვა“....

ასეთი მოქმედება ჰქონდა მთვარეს მათიაზედ და იმანაც გაშალა თავისი გული, თავისი გრძნობა და ყველა, ყველაფერი მიანდო იმ საერთო შეყვარებულთ მოწამეს.

მაშ ვისთან უნდა გამოტეხილიყო, ვისთვის უნდა ეთქვა, რომ თავის ძმათ ნაფიცის მიჯნური, რომლისათვისაც და-ძმობა უთქვამს, იმას შეჰყვარებია იქამდის, რომ გონებიდგან შლის, სულს უხუთავს და მოსვენებას აღარ აძლევს? ამ წვალებით გაატარა მთელი ღამე მაგრამ მათიას თვალს ძილი არ მოჰპარვია. დაიწყო ღამემ ნშირად ხის სახლებია ისლით დახურული და ეს სახლები ერთი-მეორეზედ მიჯგუფულია, ერთმანეთზედ მიკრული.

ამ გვარი სოფლები ჩვენში მარტო ქახეთშია, ჭიზიყში და აქა-იქ ქართლში. დანარჩენ საქართველოს მხარეებში: იმერეთში, სამეგრელოში, ზურიაში, რაჭაში, სამურზაყანოში და სხვაგან სოფლებში ერთმანეთზე ძალიან შორს აშენებენ სახლებს; იმერეთში, მაგალითად, ხშირად ასმოსახლიანი სოფელი ხუთ-ექვს ვერსის სივრცეზეა მოფენილი და მეზობელი მეზობელს ბუკით თუ გაგონებს ხმას, თორემ ისე ვერა. ქართლში, როგორც მოგეხსენებათ, მიწური სახლებია და ამ სახლებს ცეცხლის შიში არა აქვს.

ქალაქებზე აქ არას ვამბობთ, ქალაქებს იმდენი ლონის-ძიება აქვთ, რომ ცეცხლის-საქრობი მაშინები შეიძინონ, ფული დახარჯონ და სხვა-და-სხვა საშვალება იხმარონ ცეცხლის დასაქრობად.

მაგრამ სოფლებს ეს საშუალება და ლონის-ძიება არა აქვთ; ჩვენებური სოფელი, ცეცხლის გაჩენის დროს, სრულიად ულონოა, არავითარი საშუალება არ მოეძევა ამ საშინელ მტრის საბრძოლველად; როდესაც

სოფელში ცეცხლი გაჩნდება, მთელი ხალხი მოგროვდება და გულ-ხელ დაკრეფილი შესცქერიან. მამასახლისი ხანდის-ხან წამოიძახებს: — არ-იქა, ბიჭებო, უშველეთ! მაგრამ ვინ და რით, ანუ როგორ უშველის?

რუსეთის ზოგიერთს სოფლებში ერთი ძლიერ მოსაწონი წესია: ყოველ მოსახლე გლეხს, სოფლის გაჩენით, ვალად აწევს, ცეცხლის გაჩენის დროს, კაკვით, წყლით, საწყლე ჭურჭლით, კიბით და ან სხვა ამ გვარ ცეცხლის საქრობ იარაღებით გამოვიდეს და უშველოს ცეცხლის დაქრობას. ყოველ მოსახლეს კარებზედა აქვე დახატული ის იარაღი, რომლითაც ის ვალდებულია, გაჭირების დროს, გამოვიდეს ცეცხლის დასაქრობად.

ვინც ამ მოვალეობას არ შეასრულებს, ვინც თავის კუთვნილის, მიწერილის იარაღით არ გამოცხადდება ცეცხლზე, სასტიკად დაისჯება სოფლისავე განაჩენით. ჩვენ გვგონია, ურიგო არ იქნება, რომ ამ გვარიევე გონიერი წესი ჩვენს სოფლებშიაც იქმნეს შემოღებული. და ამ წესის შემოღება ადმინისტრაციას უნდა მოეთხოვოს და იმ პირთ—მასწავლებელთა და მღვდლებს, რომელთაც სოფლის ხალხზე გავლენა შეუძლიანთ იქონიონ. ჩვენი ხალხი ისეთი გულ-

ცეცხლის საქრობად სოფლებში.

თბილისი, 16 ოკტომბერს.

ბამოანგარიშებულია, რომ რუსეთს მუდამ წელიწადს, საშუალ რიცხვით, თხუთმეტი მილიონი მანეთის ზარალი აქვს მარტო ცეცხლისაგან. ზაფხულობით მაინც დღე ისე არ გაივლის, რომ ერთი სოფელი მაინც ან ერთი ქალაქის უბანი არ გადიწვას.

ჩვენში, ღვთით, დღემდინ უფრო იშვიათი იყო ცეცხლი; მხოლოთ ამ უკანასკნელ წელიწადებში გახშირდა ქალაქებში მაღაზიების დაწვა და, სოფლებიდამაც, საუბედუროდ, თანდა-თან უფრო ხშირად გვესმის ცეცხლის ზარალი.

მიზეზი იმისა, რომ ჩვენში უფრო მცირე ცეცხლის ზარალია, ის არის, რომ რუსეთის სოფლებში უფრო

დღისაგან გაყრა და მათია ფეხზედ წამოდგა; მივიდა იქვე ახლოს წყაროსთან და რამდენიმე მუჭა წყლით გაიგრილა გახურებული შუბლი და თვალები; ახსენა ღმერთა და გაშინჯა თოფი, რომელსაც ფალია დანოტიოებოდა და გამოუცვალა, ერთბაშად ტყიდგან მოესმა რაღაცა ფაჩიფუჩი, თითქოს ხმელ წიწკებს ვიღაცა ამტვრევდა. ცოტა ხანმა გაიარა და რამდენიმე ნაბიჯზედ დათვის ღრიალი შემოესმა და ამ ღრიალთან გამოჩნდა უზარმაზარი მხეცი ორის პატარა ბელით.

ძნელად იქნება ისეთი საშიში მხეცი, როგორიაც, დათვი როდესაც ის თავის შვილებით არის და იმათ რომელსამე განსაცდელში ხედავს. საზოგადოთ მშიშარა, რომელიც კაცის დანახვაზედ უკუ მიუხედავათ გამქცევი, თუ დაჭრილი არ არის, შვილებთან ის ხდება მძვინვარი, შეუპოვარი და თავ-განწირულებით იბრძვის.

აქედგან შეგიძლიან წარმოიდგინოთ რა განსაცდელშიაც უნდა ყოფილიყო მათია.

მათიას არამც თუ შეეშინდა ამ მოულოდნელობისა, — კიდეც გაუხარდა.

დათვს შეეძლო იმის სიკვდილი, მაგრამ ამ ჟამად ეს სასიხარულოც კი იყო იმისთვის.

დათვი გამოვიდა თუ არა შესდგა და ბღუილით დაღუნა თავი, თითქოს მიწას სუნავდა და ძრიელის ტოტებით დაუწყო მიწას თხრა, თითქოს სამარეს უმზადებდე ვისმე.

მათია რამდენიმე ნაბიჯი უკან წასდგა, მოეფარა მოჭრილს ხეს, მოამზადა თოფი და ხანჯალი ნახევრამდინ ამოსწია. ეს ყველა ისე დაწყნარებით მოამზადა იმან თითქოს, იქ არაფერი ამბავი იყო და კიდეც მოელოდა ამ შემთხვევას.

— ბინდა შენი ძალა გამოსცადო?... მობძანდი ენახოთ.... ამ სიტყვებთან ერთად მათიამ ჩახმახი წამოაყენა; დათვმაც თითქოს იგრძნო ბრძოლის მოახლოვება და შედგა უკანა ტოტებზედ. რამდენიმე წუთს ისინი თვალითა ზომავდენ ერთმანერთს და განრისხებულნი ცეცხლებსა ჭყრიდნენ თვალებიდგან. ძაცი და მძვინვარე მხეცი აპირებდნენ შებმას!

რამდენიმე წუთიც და დათვი საზარელის ღრიალით გადმოხტა. იმის გადმოხტომასთან ერთად გავარდა თოფი და დათვი ყირამალა ვადატ-

*) ის. „დროება“ № 216.

კეთილი ხალხია, გაჭირების დროს მოძმის დახმარება ისე შეთვისებული აქვს, რომ, თუ რიგიანი დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი აღმოუჩნდა, უეჭველია, დიდის კმაყოფილებით მიიღებს ამ ყველასათვის სასარგებლო წესსა და კეთილ-სინიდისიანადაც ეცდება იმის შესრულებას.

შენიშვნა.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ერის ცხოვრებაში სასმელს ჰქონია და აქვს დიდი მნიშვნელობა. ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲡ, გაყინულ გულს კაცისას სასმელი აცხოველებს, აღვიძებს; სევდას სევდიანს უქარვებს; ხანდის-ხან ლაჩარს ალბობს და მძლაერს მოპირ-და-პირეს ამარცხებინებს; არაყი იყო იმის მიზეზი, რომ რუსის სალდათები უშიშრად და გაბედვით შედიოდნენ შიბკაში, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ იქ ვეშაპივით პირები დაელოთ ოსმალების სხვილ ზარბაზნებს და მათი გრიალი დედა-მიწას ანძრევდა; არაყია იმის მიზეზი, რომ სიცივისაგან და შორეულ გზისაგან დატანჯულ-დაქანცული მეცნიერი ხშირად შეუდგება მეცნიერულ გამოკვლევას და ადის იმისთანა სიმაღლეზე, როგორც მყინვარი, ᲨᲐᲖᲑᲔᲒᲘ, ᲛᲝᲜᲑᲚᲐᲜᲘ და სხვ. ᲗᲘᲗ მოსთელის — რამდენი კაცი დაუხსნია სასმელს სიკვდილისაგან (ზამთარში გაყინული, დამზრალი და სხ.). ᲗᲕᲘᲗ სასმელების უაღრესმა მტერმა, თათრის წინასწარმეტყველმა მაჰმადმა, მართალია, აღუკრძალა თავის მართლ-მორწმუნე ხალხს ღვინო, არაყი, მაგრამ რადგან კარგად იცოდა—თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ცხოვრებაში „სასმელს“, ამიტომ ნება დართო, რომ მუსულმან ხალხს ესვა შარბათი.

ᲘᲡᲔᲗᲘ ხალხი არ არის დედამიწის ზურგზე, რომ, წყლის გარდა, არა სვამდეს რამე სასმელს.

ᲧᲕᲔᲚᲐ აქედამ სჩანს თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ხალხის ცხოვრებაში სასმელს. ᲔᲠᲗᲘ მწერალი ამბობს, რომ (ზომიერი) „სასმელი“ ისე ამხნევებს, აცხოველებს ადამიანს, როგორც ერთი კარგი, გრძნობით და იმედებით საესე ქადაგებაო. არ შეგვიძლიან, რომ ამ აზრს არ დავეთანხმოდ.

მაშასადამე ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ მოწვეულ კომიტეტს ჰმართებს დიდი სიფრთხილე და ადევს მძიმე ვალი, რომ გონიერად განიხილოს ეს საქმე, რათა ერთის მხრით, მართლად აღმოფხვრას სიმთვრალე, მეორეს მხრით მოსპოს სასმელების მონოპოლია და ხალხის საკუთრება (სასმელების წარმოება) ხალხსავე (საზოგადოებას) გადასცეს*).

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ შემადგენელ პირთა საიდგან სჩანს, რომ ამ კომისიაში არც ერთი ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ არ ურევია. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ რუსეთის ყველას გუბერნიებიდგან მოწვეულ იქმნენ მცოდნე, როგორც აცხადებდნენ, პირნი და რა ყოველთვის თავისუფლად სიარული სვიმონის სახლში. როგორც მოიაზრა ისეც მოიქცა: გახადა ტყავი, წამოიკიდა ზურგზედ და გაიტანა ᲫᲕᲔᲨᲘ, სადაც სვიმონი სახლის გვერდით მინდორზედ იყო და რამდენიმე მთიულს ელაპარაკებოდა. რამწამს ნაჩალნიკმა დაინახა ასეთი საჩუქარი და გაიგო მათიასგან დათვის ასე გულადათ სიკვდილი დიდათ იამა და ჰკითხა:

— ᲗᲣ არ დაგლიჯა?

— ᲐᲠᲐ, შენი კვნესამე, ისე ცოტა რამ გამკენწლა.

— ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ძალიანა ხარ?

— ᲐᲠᲐ შენი კვნესამე, არა მინდარა.

— წაიყვანეთ ეს და კარგა პური აჭამეთ, დაასვენეთ დაღალული იქნების. ᲨᲑᲠᲫᲐᲜᲐ სვიმონმა იქვე მყოფს იასაულებს,—მაგრამ ვისი ხარ შენა?

— მე, შენი კვნესამე, ნადიბაიძე გახლავარ.

— ᲕᲘᲡᲘ შვილი?

— ᲜᲘᲜᲘᲐᲘᲡᲘ, შენი კვნესამე.

— ᲜᲘᲜᲘᲐ მთელს მთიულეთში განთქმულია თავის ვაჟკაცობით და გულადობით... მე მიხარიან, რომ ღირსეული შვილი გამოუხველ... წადი, წადი დაისვენე; დღეიდგან ჩემი სახლი შენთვის ღიაა, როცა გინდოდეს მოხვიდოდე.

— შენი ჭირი მომცა ᲚᲝᲛᲘᲡᲐᲛ. ᲗᲐᲕᲘᲡ დაკვრით უპასუხა გახარებულმა მათიამ, რომლისათვისაც ყველაზედ მომეტებული წყალობა ეს იყო.

ᲠᲐ მათია შეიყვანეს სასტუმროში, რომელიც სვიმონს ცალკე ჰქონდა გამართული, მაშინათვე ყველანი მიეხვივნენ და დაუწყეს კაცს მილოცვა, დათვის ტყავს-კი შინჯვა, რომლის თავი, კბილები და ტოტები განსაცვიფრელი სიდიდისა იყვნენ. მზალვემაც გაიგო მათიას გამარჯვება და იქ მივიდა, მაგრამ იმის შიშით, რომ მათიასგან იმისი ცნობა სხვებს არ გეეგოთ მოშორებით და აღკრძალვით იდგა.

— ᲑᲐᲘᲐᲠᲔ ქალაუ, ᲯᲐᲯᲐᲚᲐᲡ უთხარ, სტუმარს საჭმელი მოუმზადოს, უთხრა იმას ერთმა იასაულთაგანმა.

მზალვე სიხარულით გაიქცა, რათა, მითი მაინც გამოეცხადებინა მათიასთვის თავისი თანაგრძნობა. ᲩᲥᲐᲠᲐ მოუტანეს სადილი, ᲩᲥᲐᲠᲐ მოშორდნენ იასაულები და დანარჩენი ხალხი მათიას, რომელიც მარტო მზალვეს და ᲯᲐᲯᲐᲚᲐᲡ დარჩა. ᲘᲡᲘᲜᲘ წრფელის გულით ულოცავდნენ მთიულს და უხაროდათ იმისი ამ გვარი გამარჯვება, რომელმაც ვაჟკაცობის და გულადობის სახელი მისცა თავიანთ მეგობარს. მათიას თუმცა უხაროდა ეს მდგომარეობა, მაგრამ იმის სახეზედ მაინც სიამოვნების ღიმილი არ მოსულა.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩი, მეხუთედ და მეექვსედ ეუბნებოდა მზალვე.

— ᲠᲐᲘᲡ მაქნისი ვარ რო გადავრჩი? შპასუხა დაღონებულმა მათიამ და ჩაფიქრდა.

— ᲐᲚᲐᲚᲘᲐ შენი დედის ძუძუ! უთხრა ᲯᲐᲯᲐᲚᲐᲛ. ᲦᲛᲔᲠᲗᲡᲐᲛᲪ შეურგია შენთვის! მემრე მიუბრუნდა დათვს —ააუ, რამოდენათ პირი დაუღია, გაიკვირვა იმან.

— ᲠᲝᲛ მოვეკალ იქნება უკეთესი ყოფილიყო, ისევ იმ გულ-დათუთქვით წარმოსთქვა მათიამ.

— ᲠᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘ, რაისათვის? შეტევით მისწვდნენ ქალები.

— ᲘᲡᲔ! მხრების აწევით, ბედშავათ უპასუხა იმან და ჩაღუნა თავი.

ᲪᲝᲢᲐ სიჩუმის შემდეგ, დაიწყო ისევ მზალვემ:

— ᲩᲝᲮᲐᲡ „ᲑᲐᲢᲐᲠᲐ“ სირმა-ღა აკლია, მზის ჩასვლამდინ გავათავებთ.

— ᲗᲥᲕᲔᲜ იცით.

— ᲛᲐᲨ ხვალ წახვალ?

— ᲰᲐᲘ, ᲰᲐᲘ, ᲠᲝᲛ წავალ: შენის გულისთვის იქ-კი არა ᲚᲝᲛᲘᲡᲘᲡ მადლმა ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲨᲘᲐᲪ-კი ჩავალ.

— ᲠᲐᲘᲐ, ბეჩა! შენ სულ შენი ᲔᲚᲙᲣᲯᲐᲘ გაგონდება!.. შეეხუმრა ᲯᲐᲯᲐᲚᲐ;—პური მაინც შეაჭამე.

ᲐᲛ სიტყვებზედ მათიამ მადრიელის თვალით შეხედა.

— ᲠᲐᲘ ხარ, ღვთის მადლმა, გაწითლებით და მორცხობით უთხრა მზალვემ.

---

*) სასმელების განსახილველად მოწვეულ კომისიის ერთი წევრი ამ უკანასკნელ აზრს ადგია. Ავტ.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ერის ცხოვრებაში სასმელს ჰქონია და აქვს დიდი მნიშვნელობა. ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲡ, გაყინულ გულს კაცისას სასმელი აცხოველებს, აღვიძებს; სევდას სევდიანს უქარვებს; ხანდის-ხან ლაჩარს ალბობს და მძლაერს მოპირ-და-პირეს ამარცხებინებს; არაყი იყო იმის მიზეზი, რომ რუსის სალდათები უშიშრად და გაბედვით შედიოდნენ შიბკაში, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ იქ ვეშაპივით პირები დაელოთ ოსმალების სხვილ ზარბაზნებს და მათი გრიალი დედა-მიწას ანძრევდა; არაყია იმის მიზეზი, რომ სიცივისაგან და შორეულ გზისაგან დატანჯულ-დაქანცული მეცნიერი ხშირად შეუდგება მეცნიერულ გამოკვლევას და ადის იმისთანა სიმაღლეზე, როგორც მყინვარი, ᲨᲐᲖᲑᲔᲒᲘ, ᲛᲝᲜᲑᲚᲐᲜᲘ და სხვ. ᲗᲘᲗ მოსთელის — რამდენი კაცი დაუხსნია სასმელს სიკვდილისაგან (ზამთარში გაყინული, დამზრალი და სხ.). ᲗᲕᲘᲗ სასმელების უაღრესმა მტერმა, თათრის წინასწარმეტყველმა მაჰმადმა, მართალია, აღუკრძალა თავის მართლ-მორწმუნე ხალხს ღვინო, არაყი, მაგრამ რადგან კარგად იცოდა—თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ცხოვრებაში „სასმელს“, ამიტომ ნება დართო, რომ მუსულმან ხალხს ესვა შარბათი.

ᲘᲡᲔᲗᲘ ხალხი არ არის დედამიწის ზურგზე, რომ, წყლის გარდა, არა სვამდეს რამე სასმელს.

ᲧᲕᲔᲚᲐ აქედამ სჩანს თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ხალხის ცხოვრებაში სასმელს. ᲔᲠᲗᲘ მწერალი ამბობს, რომ (ზომიერი) „სასმელი“ ისე ამხნევებს, აცხოველებს ადამიანს, როგორც ერთი კარგი, გრძნობით და იმედებით საესე ქადაგებაო. არ შეგვიძლიან, რომ ამ აზრს არ დავეთანხმოდ.

მაშასადამე ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ მოწვეულ კომიტეტს ჰმართებს დიდი სიფრთხილე და ადევს მძიმე ვალი, რომ გონიერად განიხილოს ეს საქმე, რათა ერთის მხრით, მართლად აღმოფხვრას სიმთვრალე, მეორეს მხრით მოსპოს სასმელების მონოპოლია და ხალხის საკუთრება (სასმელების წარმოება) ხალხსავე (საზოგადოებას) გადასცეს*).

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ შემადგენელ პირთა საიდგან სჩანს, რომ ამ კომისიაში არც ერთი ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲘ არ ურევია. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ რუსეთის ყველას გუბერნიებიდგან მოწვეულ იქმნენ მცოდნე, როგორც აცხადებდნენ, პირნი და რა

*) სასმელების განსახილველად მოწვეულ კომისიის ერთი წევრი ამ უკანასკნელ აზრს ადგია. Avt.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲜᲔᲑᲐᲗ, იმ 750,000 მანეთიდამ, რომელსაც ქილაქი სესხულობს, სხვათა შორის, მდ. ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ ორი ახალი ხიდი უნდა გაკეთდეს. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ რჩევამ თავის უკანასკნელს სხდომაზე გარდაწყვიტა, რომ ერთი ამ ხიდთაგანი უნდა იქმნეს გაყვანილი ᲕᲔᲠᲘᲓᲐᲛ საზაფხულო კრუჟოკის ბაღის პირ-და-პირ, და მეორე სწორეთ იმ ადგილას, ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲐᲜᲗ-ᲮᲘᲓᲗᲐᲜ, სადაც ახლა ბ-ნი ᲙᲐᲡᲣᲛᲝᲕᲘᲡ პარომია გაკეთებული.

* * *

ᲩᲕᲔᲜ გვაცნობებენ სამეგრელოდამ რომ მთელი სამეგრელოს სამღვდელოებათა დეპუტატნი სოფ. ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲨᲘ არიან ამ ჟამად შეკრებილნი და სჯა აქვსთ იმაზედ, თუ რა მონაწილეობა მიიღონ იმ სასულიერო სემინარიის ხარჯში, რომლის ქ. ᲛᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ დაარსება ამას წინათ გარდაწყვიტა ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ სამღვდელოთა კრებამ.

ᲠᲐᲚᲐ თქმა უნდა, რომ სამეგრელოს სამღვდელოება ამ საზოგადო საქმეში უკან არ ჩამორჩება ᲘᲛᲔᲠᲔᲗ-ᲖᲣᲠᲘᲘᲡᲐᲡ და, რითაც კი შეიძლებს, შემწეობას აღმოუჩენს ხსენებულ სემინარიის დაარსებას.

* * *

ᲔᲡ ერთი კვირაა, რაც ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ თეატრში მუდამ საღამოს აკვირვებს საზოგადოებას გამოჩენილი თვალთმაქცი ფრანცუზი ᲥᲐᲖᲜᲝᲕᲘ. ᲑᲔᲕᲠᲘ იმის მოქმედება მართლა რომ ნამდვილი თვალთ-მაქცობა ეგონება კაცს, ისეთის ხელოვნებითა და სიმარდით აკეთებს ფოკუსებს. ᲐᲛ ᲑᲔᲕᲠᲨᲘ სათამაშო ქაღალდზე სხვა-და-სხვა ფოკუსებისა, მოუხალავ ყავისაგან ხელად ერთს წამში ყავის დამზადებისა და სხვას გარდა, ყველაზე უფრო შესანიშნავია ბ-ნი ᲥᲐᲖᲜᲝᲕᲘᲡ ესრედ-წოდებული ანტი-სპირიტული თვალთ-მაქცობა: პატარა კარავი გამოაქვს სცენაზე, ამ კარავში ხელფეხ შეკრული და კისერ მიკრული ჯდება, საზოგადოებისაგან ამორჩეული პირები ათვალიერებენ, მაგრამ ეს ყოველის სხეულის ნაწილით შეკრული კაცი როგორღაც ახერხებს ამ კარავში დოლისა და ფლეიტის დაკვრას, პაპიროსის მოწევას და როდესაც თვალ-ახვეულ კაცს შეიყვანენ, სერთუკს, ჟილეტს გახდის, საათს, ბეჭედს ააძრობს და ბევრსაც აყვირებს.

ᲐᲛᲘᲡ თვალთ-მაქცობაში განგება არ

ურეევია, მაგრამ სიმარჯვე და ოსტატობა კი სწორეთ გასაკვირველია...

***

სოფ. ძაქუთს (ბურიაში) წასრულ ომიანობის წყალობით მისცემია დიდ ძალი ზარალი, რომელიც მაშინდელ ოზურგეთის მაზრ. უფრ. თანამდებობის აღმსრულებელს მხოლოდ 15,000 მან. დაუფასებიათ 1869 წელიწადში, მაგრამ ეს ფული დღემდისაც არ მოუციათ ქაქუთველებისათვის.

იმედი გვაქვს რომ ამ გარემოებას მთავრობა ყურადღებას მიაქცევს...

***

ბაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, ტელეგრაფის გამგეობას განზრახვა აქვსო, რომ კავკასიის მთებზე ტელეგრაფის სვეტები მოსპოს და მავთული მიწაში ჩაყვანოს. ამას იმიტომ სჩადიან, რომ მთებზე, როგორც მოგეხსენებათ ქარიშხალი და თოვლი ხშირად ამტვრევს აფუჭებს ტელეგრაფის სვეტებსა და მიწაში რო იქნება მავთული გაყვანილი, მაშინ-კი არავითარი შიში აღარ ექნება.

***

ხვალ, ორშაბათს საღამოს ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, შემდეგ საგანზე ექნება სჯა:

წინადადება ხმოს. ნ. დ. ზუბალოვისა იმას შესახებ, რომ ქალაქის ბაზინიდამ 10,000 მან. გარდადვას და ამ ფულის სარგებლით თფ. ქალაქურ გიმნაზიის ღარიბ შაგირდებს შეეწიოთო.

იმისვე წინადადება სადგომებზე ხარჯის გაწერისათვის.

წინადადება ხმოს. ს. ჯ. ალადათოვისა იმაზედ—კანონიერია თუ არა პოლიციის მოთხოვნილება, რომ სახლის პატრონებმა თვითონ დაგავონ ტროტუარები თავიანთ სახლების წინ;

მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის სახლის გაკეთებაზე და სხვ.

***

ოზურგეთიდამ საყვედურს გვწერენ იქაურს ბ. ხუნდაძის კერძო აფთიაქზედ: ერთი-ორად უფრო ძვირად ჰყიდის წამლებს, ვინემ სხვა აფთიაქებშიო და ხშირად წამალიც არა აქვს რიგიანიო. მაგალითად, ამას წინად ქინა გამოელია და დუქანში ჰყიდულობდა მოშავო ქინასაო.

„დროების“ კორესპონდენცია.

—

სოფ. ძიმითი (ბურია) 10 ივნისს.

შიმოდგომა დადგა მოსავალი ჩინებულია, თუმცა აქამდინ ძალიან შეშინებული ვიყავით ზაფხულის წვიმებით, მაგრამ ჩვენმა ნოყიერმა მიწამ კიდევ არ დასტოვა მიწის მუშა დაუჯილდოებელი. ღვინო ზოგ ადგილებში ნაკლებათ გახლავთ, მაგრამ ზოგან კი ძრიელ კარგად მოვიდა. მტრობა, ერთმანეთისა ჩუმათ მიბეგვა, ცარცვა-გლეჯა ხომ არის და არის. ამ უკანასკნელ დროს მაინც გახშირდა ეს მოვლენანი მთელს ბურიაში. ჩვენ ვეფიქრობდით, როცა ქობულეთი ბურიას შამოუერთდება მშვიდობიანობა ლეობა, მაგრამ ვინ იცის დიდს ხანს შეიძლებდა ამით ბრძოლას?

ის მივიდა ხარანაულების სახლთან და სახლის პატრონს, შეუძრახა ძაღლები გადმოესივნენ იმას, მაგრამ ყმაწვილმა თუშმა, რომელიც გადმოეშველა, მოაშორა ისინი და შეძახა;

— ბზა მშვიდობისა მათიაუ!

— მშვიდობა მოგცეს უფალმა.

ისინი შევიდნენ შინ, იმ საწოლში, რომელიც ელგუჯასთვის დეეთმოთ. წარმოიდგინეთ ამ უკანასკნელის სიხარული, როდესაც მათია დაინახა. იმან აღარ იცოდა სიხარულით რა უნდა ექნა და როგორ მოქცეოდა; არ იცოდა, საიდგან დაეწყო ლაპარაკი, ან როგორ მისალმებოდა.

მათიაც სწორეთ ამავე მზგავს მდგომარეობაში იყო, თუმცა იმათ სხვა და სხვა სრული მოპირ-და-პირე საბუთი ჰქონდათ.

ათასჯერ ერთსა და იგივე საგანზედ იწყებდნენ ლაპარაკს და ყოველთვისინ გაუთავებელი რჩებოდათ.

ელგუჯას ნაწრთობს და გამოცდილს, გამაგრებულს აგებულებას, ადვილად აეტანა თავისი ჭრილობა და ეხლა ზოგიერთს ალაგას იარება არ დახუროდა, თორემ სრულებით კარგათ იყო და თავისუფლად სიარული შეეძლო ოთახში.

პირველი მისალმების შემდეგ, დამყარდებათქო, მაგრამ მშვიდოვიანობის ნაცვლად უფრო ფეხი გაიდგა ავ-კაცობამ. იმ ბურიელებმა, რომელნიც განთქმულნი იყვნენ ავკაცობაში და აშკარად ვერ ჰბედავდნენ ქობულეთელ ავაზაკთან მისვლა-მოსვლას, დღეს მათთან მტკიცე კავშირი შეჰკრეს (?) და ნაცვლად ერთი-ორი ავაზაკისა ჩვენ გაგვიჩნდა რამდენიმე, რომელნიც უკიდურეს მდგომარეობამდის აღწევინებს ბურიას.

უკაცრავათ ბატონებო, ვგონებ ძალიან დიეშორდი ძიმითის საზოგადოების, მაგრამ მამიტევეთ, რადგანაც ავაზაკების კვალში ქობულეთში ამომიყოფია თავი. ეხლა კიდევ დავუბრუნდები და მოგახსენებ ძიმითის საზოგადოებაზედ:

ერთი თვეა მას უკან, რაც ჩვენი სასოფლო მაღაზიასთან გავიარე და საშინელს ცუდ მდგომარეობაშიდ ვნახე: ჩვენში, რომ იტყვიან „თათარს და ურიას შეებრალებოდაო“ სწორეთ შეიძლება კაცმა ამაზედ თქვას. საწყალი ასი წლის ბებერიევით მოკუნტულა წელში და წაქცევას ემზადება, კბილები (ჭერები) ჩასცვივნია და ცოტა ნიავიც რომ მოხვდეს მთერალივით ბარბაცებს. ღელმდის კარკი იყო ცხენიანებისათვის თავშესაფარათ, მაგრამ ეხლა აღარც იმათთვის ვამოდგება არა უშავს კი რა, ზამთარი მომავალია და უხაროდესთ სუდია მამასახლისის გაყინულს-ძვლებს და მწერლის ხელებს. ისევ ის სჯობიან ეცადონ ავდრის მოსვლამდინ დაწვან, თორემ სველ შეშას ცეცხლი ძნელად ეკიდება! აი ამ გვარს მგომარეობაშიდ გახლავს ჩვენი საზოგადო მაღაზია სიმინდისა 1870 წლიდამ დაარსებული, რომლისგან საურთიერთო ამხანაგობის გახსნას მოველოდით, და ახლაც გვეტვის ვინმე, რომ „ვერ გისარგებლებიათო!“

თუმცა ყველაფერში უბედურნი ვართ, მაგრამ ერთ საქმეში კი, როგორც არის, მაგრათ გვიდგია ფეხი—ეს გახლავს სკოლა, თუმცა ამ საქმეშიაც სამწუხაროდ ის მიგვაჩნია, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი ორ წელიწადზედ მეტს არ დგებიან: მოვლენ, და როცა გავიცნობთ, მაშინ მიდიან თუმცა ნამყოფითვის მასწავლებლეში მოვსტყუვდით და კინაღამ ძირი გაუთხარა სასწავლებელს, მაგრამ სამმა კი ძლიერ დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება ერთი იმათგანი თეოფ. ქალანდარიშვილი დღესაც ასწავლის.

იოსებ ხელაძე.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარანლეკვიჩი და ლისიცკეი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ებბიანობის, ქალების და უმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცკეი—შინაგან ავათმყოფობისა; გელდიში—სი-

---

— მაშ რაია, სულ ელგუჯა და ელგუჯა! ბატარა დაასვენე.

— არა მინდა-რა, შენი კვნესამე! თუ-კი თქვენ როგორმე გაგახარებთ, ეგ ჩემთვისაც სიხარულია.

სადილი გაათავეს, მათია დაიბარა სვიმონმა, რომელსაც ძალიან მოეწონა და იასაულად უნდოდა; ქალები-კი წავიდნენ და გულ-მხურვალედ ფაცა-ფუცით მოეკიდნენ საქმეს.

საღამოზედ ჩოხა მზად იყო და მათიამ წაიღო ელგუჯასთან.

იქნებოდა გლეხების ვახშმობა, როდესაც მათიას გამოუჩნდა ხარანაულების სახლი და მოესმა ძაღლების ყეფა. იმ დროს ის თავის განუშორებელს ფიქრში იყო და ძაღლების ხმაურობამ შეაკრთო. ის შედგა და წამოიძახა:

— რა პირით უნდა შევხედო ელგუჯას?.. და მემრე დაუმატა:—რაი ჩემი ბრალია, მიყვარს და რაი უნდა ვქნა!..

იმასა სტანჯამდა ის გრძნობა, რომელიც ცეცხლსავით უვლიდა გულში და რომლის მოშორებაც უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ სწვდებოდა. ყოველი იმის სხეული, ყოველი ასო, ყოველი ნიჯი მზაღვეს შეეპყრო, დაემორჩილებინა, და თავის დახსნის შეცდა, მხოლოდ მომეტებული წვალებალა იყო მათიასთვის. ერთი აზრიღა ამაგრებდა იმის თავს და ეს აზრი იყო ძმათ ნაფიცის წინაშე გოვალტუმრებს ვახშამი მოუტანეს და უფროსი ხარანაულიც იქ შემოვიდა. რა ვახშამზედ დასხდნენ, ლაპარაკი გადავიდა, თემის ყრილობაზედ და იმათ გადაწყვეტილებაზედ, რომელმაც ელგუჯა სრულიად გაალარიბა და ულუკმოთ დაგდო.

— ელგუჯავ!.. დაიწყო ხარანაულმა.—ღმერთს ლუკმა მოუცია ჩემთვის, ღვთის მოწყალება არა მაკლიარა.—ცხორანიცა მყავს... დასახლდი აქ, დადექ ცხორში და დაგიზიარებ იმათ.

— დამირჩა შენი თავი! ღმერთიც იმად გაძლევს საცხოვრებელს, რომ ეგეთი ხარ.

— მართალის გულით გეუბნები, აგრემც ხელს მომიმართამს ლაშარის ჯვარი.

— არა შენაი ჭირაიმე, მე ერთს უბედურს გზასა ვარ გამოკიდებული და დეე უბედურათ გავიარო.

— რაი გინდა ქნა, თემის გარდაწყვეტილებას ხომ არ შეებმი?

— თემის წინააღმდეგობა, საიდ იქნების?.. თემის სიტყვა ღვთის ბრძანებაა, კაცი ვერ გადავა იმას.

— მაქკაცს, ეაჟური სიტყვა ექნება! მოუწონა ხარანაულმა.

— მაშ რასა იქ?

— რაი ვიცი! დედა-მიწა დიდია და ცა მაღალი ყველას დაიტევს.

— მაი აგრე ნუ, ელგუჯავ! ბაურია სიტყვა მათიამ.— ხარანაულნი შეძლებული გვარია, დადექი მაგათთან, მოკეთდი, დამშვიდდი და მემრე რასაც ღმერთი გვაგონებს ისე ვქნათ.

— ეგრე ჰქენ ეგრე ელგუჯავ! დაუმატა ხარარნალმა.—აქ დაგაქორწილებ, თითონ მე მოგვგვრი ქალსა!.. ლაშარის ჯვრის მადლმა, ვისაც შენ დამისახელებ, იმას მოგვრი; აი დედი ჩემის ღმერთსა, ქალს როგორ ვინმე დაგვიჭერს. ჩემი ბალღები შენთვის სულ გაწყდებიან!

— ამას ამორჩეულიცა ჰყავს, მოაგონა მათიამ.—ეს იმას ვეღარ ულალატებს.

— მაშ ის მოუყვანოთ! წამოიძახა ხარანაულმა მხიარულად ჩაიტეხა ქუდი და დაუმატა:—თითონ მე წამოგყვებით მაყარში... ცაბულსა არა ხარ?

ბევრი უარის შემდეგ, ელგუჯა დაყაბულდა დადგა ხარანაულებისას, რომელთაც, მათიას დასწრებია, ოთხმოცი ცხვარი დაუზიარეს ელგუჯას.

მათიამ, ელგუჯამ და კიდევ რამდენიმე ყმაწვილმა ბიჭებმა პირობა დაზდვეს, რომ რაწამს ელგუჯა ცოტა უკეთ შეიქნებოდა, მზაღვეს მოიტაცებდნენ.

ს. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

თვილისტიკური და სირურგიული ავთმოთოობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოთოობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავთმოთოობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავთმოთოობისა; კელდიში—სითვილისტიკური და სირურგიული ავთმოთოობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავთმოთოობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტ. ავთმოთოობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმოთოობისა; კელდიში—სითვილისტიკური და სირურგიული ავთმოთოობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოთოობისა; ბაბაევი—ძარღვების ავთმოთოობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავთმოთოობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავთმოთოობისა; კელდიში—სითვილისტიკური და სირურგიული ავთმოთოობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოთოობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავთმოთოობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავთმოთოობისა; კელდიში—სითვილისტიკური და სირურგიული ავთმოთოობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავთმოთოობისა; ბაბაევი—ძარღ. ს.სუსტის ავთმოთოობისა.

განცხადებანი

დღეს, კვირას, არწრუნის თეატრში
უკანასკნელი წარმოდგენა
კაზნოვისა
ანტი-სპირიტული, თვალთ-მაქცური წარმოდგენა, ამერიკული ჩამოდანი, სხვა-და-სხვა ფოკუსები სათამაშო ქალაქით და სხვ.

დღეს, კვირა საღამოს
სახალხის ბაღში იქნება
სეირნობა
აუშვებენ სხვა-და-სხვა გვარ მაშხალებს. ბაღი გაჩაღებული იქნება ბენგალის ცეცხლით.

Продается по случаю отъѣзда совсѣмъ новая мебель на 5 комнатъ вмѣстѣ и отдается порознь, цѣна всей 600 р. Адресъ Михайловская улица домъ Григорьева спроситъ Никифорову. (3—1)

კანცელარია წერა - კითხვის გამგრცელებელი საზოგადოების გამგეობისა იმეოფება მთა-წმინდის, ხევის (ოვრაჟსკის) ქუჩაზედ, № 9, ფარესოვის სახლების ზემო ეტაჟში. (5—1)

ისყიდება ახალი მებილი ხუთი ოთახისათვის ერთად და ცალ ცალკე. ერთად ღირს 600 მან. ადრესი. მიხალის ქუჩა, ბრიგორევის სახლი, იკითხეთ ნიკიფოროვისა. (3—1)

ბოლოვინის პროსპეკტზედ ანტონოვის სახლებში, სადაც წინეთ იყო სლავიანის სასტუმრო, უკვე გაიხსნა ჩემ მიერ ახალი სასტუმრო „ლიგადია“ ბევრის ძლიერ ლამაზათ მორთულის ოთახებით, ყოველ გვარის სასიამოვნო მოხთენილებითა; ბუფეტი სტუმრების სიამოვნებისათვის შეიცავს ორს ზალას, რომლებთაგან ზემოთისას აქვს შესავალი პერედნის, კარებიდამ; ქვემოთისას გარეთ ეიწრო ქუჩიდამ, პირ-და-პირ ახლად სამენებელის ტეატრისა. (ბანოვსკის ეიწრო ქუჩიდამ) იქ სდგას ახალი საქები ბილიარდები მუდამ დღე უკრავენ ახლად მოსული არტისტები სკრიპკა და როიალზედ. ეს ერცელი ზალა ჩინებულად მორთულია მებილებით, რამოდენიმე ლამაზი პატარა თავის-უფალ ოთახებით (კუპე), იმ პირებთათვის, რომლებთა არა სურთ ეჩვენონ სხვათა სტუმრებთა. საჭმელები მზადდება აღრჩეულის ხარისხისა, ვაძლევ იაფ ფასად და სახლშიდაც; იმედია ახალად გახსნილი ესე სასტმრო დაიმსახურებს საზოგადო ყურადღებას. (3—2)

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გადღერეაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უკელგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქადალდოა, სხვანგან კი ქადალდით. (100—55)

ქ. გორში მომრიგებელ სასამართლოის პირ-და-პირ გავსენ ზეთით მომზადებული ოველნაირი წამლების საამხატვრო საღებავთა მაღაზია, ვეიდი გირვანქობითაც თბილისის ფასებზედ 20% ნაკლებ მეიდველთ შეუძლინთ სოფლებიდამაც მომართონ უტეუერად გაეგზავნებათ ოველ-გვარი საღებავი (კრასკა) (10—5) ივანე ს. ბაბალოვი

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაღებ-ბალზამი
მაკ-ფარლ-ფერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბოამდა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—63)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგილს ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, თოდნოსები, ბირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქადალდი, კანვერტები, რეეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბლაშები, განები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, ბირისსოტი, ცხვირის-სასოტი, ხულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, ბორტ-ვეინი, სერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უბირველი სარისხისა 2 მ.—წონა უქადალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—22)

ი. მურადოვის
წიგნის მაღაზიაში
ქუთაისში
მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალაო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რეეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—4)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: ბარაბანი 40 კაპ. დაწყებული; სტაჭნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; ბადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—31)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სასოტისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბიანი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასურვებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაბანას გიარები. (100—41)

ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იეიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. უველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქალალდოთ და უტეეიოთ. (100—62)

ტაქცია

საგებაგ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ოქტომბრიდამ 15 ნოემბრამდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	3 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 ვირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	4½

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	8 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	—1 გირ.	8 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი